ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4204558

ნომერი: AR1634590

თარიღი : 02.10.2018

გაცემის თარიღი : 05.10.2018

გაცნობის თარიღი : 09.10.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მამია გურიელის ქუჩა, N 5ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი ჯალაღონია პ/ნ 62001000952
- ქ. თბილისი, მაზნიაშვილის ქ.

ორგანიზაცია:

- შპს ეპიკ სანზონა კოდი: 402010701

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი

განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
საპროექტო შენობა ჯერ არ არის ექსპლუატაციაში მიღებული და ვინაიდან ხდება ფასადის არსებითი ცვლილება, ფასადის კედლის წინ გამოწევა, ვერ განიხილება როგორც პირველი კლასის სამუშაოები. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ შენობა თავისი არქიტექტურული თვალსაზრისით არქიტექტურულად დასრულებულია და მისი ფასადის რეკონსტრუქცია, ცვლილება, მოითხოვს უფრო მეტად ფრთხილ დამოკიდებულებას, წარმოდგენილი სახით პრეცენდენტის დაშვება შესაძლებელია შემდგომში გახდეს ანალოგიური მოთხოვნების წარმოდგენისა და მსგავსი ფაქტების დამკვიდრების საფუძველი, რაც მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას იქონიებს შენობის ერთიან იერსახეზე. ინდივიდუალურად (მხოლოდ თქვენს მიერ) აღნიშნული სამუშაოების განხორციელება სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, შესაძლებელია პროექტის ავტორის მიერ დამუშავებულ იქნას ერთიანი პროექტი და ახალი განცხადებით საკითხი დაყენებულ უნდა იქნას არა რეკონსტრუქციის, არამედ შეთანხმებულ პროექტში კორექტირების შეტანის კუთხით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა I კლასის კუთხით.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.